27/04/2026

MES 7 26 0000487834

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 8 აპრილს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=86581423802
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ხათუნა ცერცვაძე – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
ანა არუშიძე – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნია გუგუნავა – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ლელა კიკნაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

თაბუკა ციმინტია
ინგა კალანდაძე
ალექსანდრე კეკენაძე
ნინო თამაზაშვილი
აკაკი სადუნიშვილი
ირმა ღარიბაშვილი
მანანა მახარაშვილი
ნინო ხარხელაური
ნანა მონიავა
ხათუნა ურუშაძე

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი „მოდუსი“
სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორი – ნინო ქავთარაძე
დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში – მაია დალაქიშვილი
დირექტორის მოადგილე ეკონომიკურ დარგში – დიანა გოშაძე
ხარისხის მართვის მენეჯერი – ქეთევან გურგენიშვილი

შპს ცხუმ-ეგრისი
დაწესებულების დირექტორი – გელა მამფორია
დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი – ნონა თაკალანძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.
საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. სსიპ კოლეჯ მოდუსში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ კოლეჯ მოდუსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

3. სსიპ კოლეჯ მოდუსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ კოლეჯ მოდუსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ცხუმ-ეგრისისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მასაჟის თერაპია" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, მიმართა საბჭოს, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებების ამოქმედების თარიღად განისაზღვროს სხდომის ჩატარების დღე – 2026 წლის 8 აპრილი. მან განმარტა, რომ აღნიშნული აუცილებლობა გამოწვეულია ადმინისტრაციული წარმოების ვადების დაცვის საჭიროებით. გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღის სხდომის დღესთან გათანაბრება უზრუნველყოფს სამართლებრივი პროცესების ოპტიმალურად დასრულებას. საბჭომ ერთხმად გადაწყვიტა, რომ 2026 წლის 8 აპრილის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 8 აპრილი.

პირველი საკითხი: სსიპ კოლეჯ მოდუსში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო თამაზაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 15.01.2026 წლის N28852 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯ მოდუსში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „Front-End დეველოპმენტი“ და „შედუღება“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტის, ასევე ე) ქვეპუნქტის ე.ა) კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2026 წლის 5 თებერვალს განხორციელდა ვიზიტი სსიპ კოლეჯ მოდუსში (მის,: ქ. რუსთავი, შარტავას გამზ.N4). აღნიშნული ვიზიტი განხორციელდა საბჭოს შუამდგომლობის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ წინა წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო როგორც შესაბამისობის, ასევე განვითარების რეკომენდაციები. მიმდინარე წარმოების დროს დოკუმენტაციის ანალიზისა და საკითხის ადგილზე შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა ყველა განმავითარებელი რეკომენდაცია. ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.
დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში დაფიქსირებულია, რომ სრულად ეთანხმება დასკვნის პროექტში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასახულ ფაქტობრივ გარემოებებს. ასევე აღინიშნა, რომ დასკვნის პროექტში დაფიქსირებული იყო ტექნიკური შეცდომა, რაც ექსპერტმა ჯგუფმა მყისიერად გაასწორა.
დაწესებულება საქმიანობას ახორციელებს ქალაქ რუსთავში, შარტავას გამზირის N4-ში მდებარე ფართობზე, რომელიც მოიცავს 25000 კვ.მ-ს და მასზე განთავსებულ რამდენიმე სასწავლო კორპუსსა და დამხმარე ნაგებობას. უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე კოლეჯი განკარგავს NA და NB კორპუსებს, სასწავლო სახელოსნოებს, ავტოფარეხს, საქვაბესა და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას. აღნიშნულ სივრცეებში მოწყობილია სხვადასხვა ტიპის აუდიტორიები, ლაბორატორიები, ადმინისტრაციული სამუშაო ოთახები, ბიბლიოთეკა, FAB LAB და სარეკრეაციო ზონები. ინფრასტრუქტურა აღჭურვილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით, რაც სრულად შეესაბამება სასწავლო ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობასა და პროგრამების სპეციფიკას.
განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რუსთავის მისამართზე არსებულ ახალ C კორპუსს. ვინაიდან დაწესებულებამ დათქმულ დროში ვერ უზრუნველყო აღნიშნული შენობის ექსპლუატაციაში მიღება და უსაფრთხოების დოკუმენტაციის სრული მოწესრიგება, კოლეჯის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ინტეგრირებული მოდულის „სპორტი“ განხორციელების გარემო გადმოტანილ იქნა ძირითად, A კორპუსში.
წინა წარმოების ფარგლებში, ექსპერტთა მხრიდან, ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც მეტწილად შესაბამისი (5.1.1.1)
მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა C კორპუსის ექპლუატაციაში შესვლასთან დაკავშირებული დოკუმენტები და შენობის მდგრადობის დასკვნა, თუმცა დაწესებულების ხელმძღვანელმა ექსპერტებს განუმარტა, რომ დათქმულ დროში რიგი მიზეზების გამო ვერ მოესწრო ზემოაღნიშნული აქტივობების განხორციელება.

ამის გამო, ინტეგრირებული ზოგადი მოდულის ,,სპორტი“ გარემო გადმოიტანეს კოლეჯის A კორპუსში. რომელიც წარმოადგენს დაწესებულების ძირითად სასწავლო კორპუსს. მათ დამატებით აღნიშნეს, რომ მიმდინარე ეტაპისთვის, C კორპუსი არ არის გამოყენებული სასწავლო მიზნებისათვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

სტუდენტებისათვის მატერიალური ბაზისა და IT რესურსების ხელმისაწვდომობა რეგულირდება შიდა ბრძანებებითა და პოლიტიკის დოკუმენტებით. სტუდენტებს აქვთ უფლება ისარგებლონ ბიბლიოთეკით, კომპიუტერული ქსელითა და სხვა მატერიალური რესურსით დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში. ჰიგიენური ნორმების დაცვა უზრუნველყოფილია მომსახურე პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და დეზინფექციის სპეციალური გრაფიკით. შენობა-ნაგებობები მარაგდება წყლით, ელექტროენერგიით და აღჭურვილია ბუნებრივ აირზე მომუშავე ცენტრალური გათბობის სისტემით, რაც დასტურდება როგორც ვიზუალური დათვალიერებით, ისე კომუნალური გადასახადების ანგარიშფაქტურებით.

კოლეჯში მოქმედებს შრომის უსაფრთხოების ეფექტური მექანიზმი, რომელსაც ორი აკრედიტებული სპეციალისტი უძღვება. ასევე, დაწესებულია სასწავლო მასალებისა და ნედლეულის შეუფერხებელი მიწოდების წესი, რაც მოიცავს ბაზრის კვლევას, შესყიდვასა და ხარჯვის სისტემატურ აღრიცხვას. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს მატერიალური რესურსების რეგულარულ შეფასებას სტუდენტთა გამოკითხვისა და ყოველწლიური მონიტორინგის გზით. ბიბლიოთეკა სრულად არის აღჭურვილი მატერიალური და ელექტრონული რესურსებით, ხოლო სანიტარული კვანძები ადაპტირებულია შშმ პირთათვის და დაცულია პირადი ჰიგიენის ყველა პირობა.

დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ფართებში უსაფრთხოების ზომები მაღალ დონეზეა ორგანიზებული. სახანძრო უსაფრთხოების მდგომარეობა რუსთავისა და მარნეულის მისამართებზე შეესაბამება მოქმედ ნორმებს, რაც დასტურდება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული აქტებით. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები კი ადასტურებს ნაგებობების მდგრადობას. C კორპუსის გამოუყენებლობის პირობებში, ძირითად სასწავლო კორპუსებში დაცულია ყველა საჭირო უსაფრთხოების პარამეტრი.

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, კოლეჯში მოქმედებს შესაბამისი ინსტრუქცია და დანიშნულია პასუხისმგებელი პირები, რომელთაც გავლილი აქვთ სპეციალური ტრენინგები. სასწავლო გარემოში განთავსებულია პირველადი დახმარების ყუთები და საკონტაქტო ინფორმაცია გადაუდებელი საჭიროების შემთხვევებისთვის. ასევე, ფუნქციონირებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბი და მოქმედებს კომპეტენტურ ორგანოსთან შეთანხმებული მართვის გეგმა.

კოლეჯის მთელ პერიმეტრზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოების სამსახური, რომელიც შედგება უფროსის, ცვლის უფროსებისა და მორიგეებისგან. ტერიტორიაზე დამონტაჟებულია ვიდეომეთვალყურეობის სისტემა, რომლის მუშაობის წესი საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ვებგვერდზე. სისტემა განსაზღვრავს მონიტორინგის მიზნებს, ჩანაწერების შენახვის 30-დღიან ვადას და წვდომის უფლების მქონე პირთა წრეს. აღნიშნული ღონისძიებები ქმნის უსაფრთხო და დაცულ გარემოს როგორც პერსონალისთვის, ისე პროფესიული სტუდენტებისთვის.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – შედუღება

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შედუღება“ არის მეოთხე დონის და ხორციელდება ქალაქ რუსთავში, შარტავას გამზირის N4-ში და ითვალისწინებს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებას შედუღებაში.

პროგრამის მატერიალური უზრუნველყოფის მიმართულებით, ექსპერტებმა დაათვალიერეს B კორპუსში განთავსებული სახელოსნო (129 კვ.მ) და A კორპუსში არსებული აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით 15 პროფესიული სტუდენტისთვის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წინა წარმოებისას გამოვლენილი ხარვეზები სრულად არის აღმოფხვრილი. დაწესებულებამ ტენდერის (NAT250007067) საფუძველზე შეისყიდა ყველა საჭირო მაღალტექნოლოგიური მოწყობილობა, მათ შორის ნახევრად ავტომატური დანადგარები, ინდუსტრიული მულტიპროცესორული კომპლექტები, ულტრაბგერითი აპარატი და სხვა დამხმარე ინვენტარი. აღნიშნული რესურსი სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 11 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 3 უშუალოდ პროფესიულ მოდულებს უძღვება. პირადი საქმეების შესწავლითა და გასაუბრებით დადასტურდა, რომ პედაგოგებს აქვთ სათანადო კომპეტენცია და პრაქტიკული გამოცდილება. მათი უმრავლესობა ფლობს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სერტიფიკატებს და აქტიურად არის ჩართული სწავლების მეთოდოლოგიისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელი, ასევე, ხასიათდება დარგობრივი კომპეტენციითა და შესაბამისი გამოცდილებით, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესის მართვაზე.

ექსპერტთა მიერ მოცემული კომპონენტი შეფასდა სტანდარტის შესაბამისად.

საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია კოლეჯის ბიბლიოთეკის მეშვეობით, სადაც სტუდენტებსა და მასწავლებლებს წვდომა აქვთ როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ მასალებთან. ბიბლიოთეკა აღჭურვილია საჭირო საოფისე ტექნიკით, ხოლო ციფრული რესურსები განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. გარდა ამისა, დაწესებულებაში მოქმედებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერის მექანიზმი, რაც გულისხმობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებასა და სასწავლო გარემოს ადაპტირებას სსსმ სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად.

ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამა „შედუღება“ ხასიათდება მდგრადობით, რაც დასტურდება წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტით. შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პერსონალის ანაზღაურებას, მასალების შესყიდვასა და ინფრასტრუქტურის შენახვას. გათვლების თანახმად, პროგრამა რენტაბელურია მინიმუმ 13 სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში. წარმოდგენილი მტკიცებულებების – მატერიალური ფლობის დოკუმენტების, პირადი საქმეებისა და სააღრიცხვო ჟურნალების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ პროგრამის განხორციელების რესურსები სრულ შესაბამისობაშია დადგენილ მოთხოვნებთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – Front-end დეველოპმენტი

პროგრამა „Front-end დეველოპმენტი“ არის მეოთხე დონის. განხორციელების ადგილია ქალაქი რუსთავი, შარტავას გამზირის N4 და ითვალისწინებს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებას Front-end დეველოპმენტში.

მატერიალური რესურსების თვალსაზრისით, პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია დაწესებულების A კორპუსში განთავსებული სათანადო ინფრასტრუქტურით. დარგობრივი მოდულების სწავლებისათვის მოწყობილია აუდიტორია, სადაც მასწავლებლის სამუშაო ადგილი აღჭურვილია ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერითა და ორი მონიტორით, ხოლო სტუდენტებისათვის გამოყოფილია 15 სამუშაო ადგილი შესაბამისი პარამეტრების მქონე ტექნიკით. აღსანიშნავია, რომ წინა წარმოებისას გამოვლენილი ხარვეზი, რომელიც ეხებოდა C კორპუსში სპორტის მოდულისათვის საჭირო გარემოს მოუწესრიგებლობას, სრულად აღმოფხვრილია. კოლეჯმა მოდულის განხორციელება გადმოიტანა A კორპუსში, სადაც სივრცეები სრულად არის აღჭურვილი შესაბამისი ინვენტარით, რაც დასტურდება როგორც შესყიდვის დოკუმენტაციით, ისე ვიზუალური დათვალიერებით. ინტეგრირებული მოდულებისათვის, ასევე, გამოიყენება N202 ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო საგანმანათლებლო რესურსით.

ადამიანური რესურსების მიმართულებით, პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 13 კვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთაგან 9 ინტეგრირებული,

ხოლო 2 უშუალოდ პროფესიული მოდულების განმახორციელებელია. მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის სტაბილურობას. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლითა და გასაუბრებით დადასტურდა, რომ მათ აქვთ სათანადო დიპლომები, სერტიფიკატები და სამუშაო გამოცდილება. მასწავლებელთა უმრავლესობას გავლილი აქვს პედაგოგიური მომზადების კურსები და აქტიურად არიან ჩართულნი შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციისა და ვერიფიკაციის პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელი ასევე ხასიათდება დარგობრივი კომპეტენციითა და პრაქტიკული გამოცდილებით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტურ მართვას.
საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა და სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები სრულად პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს. კოლეჯის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტთა წვდომას როგორც ბეჭდურ, ისე ციფრულ მასალებთან, რომლებიც ასევე განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე. ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებითა და ასლგადამღები ტექნიკით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს.
ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით, პროგრამისთვის მომზადებულია საპროგნოზო ბიუჯეტი როგორც ინტეგრირებული, ისე არაინტეგრირებული მოდელის მიხედვით. შემოსავლების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ხარჯვითი ნაწილი ფარავს პერსონალის ანაზღაურებას, სასწავლო მასალების შესყიდვასა და აღჭურვილობის ამორტიზაციას. გათვლების მიხედვით, პროგრამა რენტაბელურია მინიმუმ 13 პროფესიული სტუდენტის არსებობის პირობებში.
ექსპერტთა მიერ მოცემული კომპონენტი შეფასდა სტანდარტის შესაბამისად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.
ინფრასტრუქტურული რესურსისა და ფართის ათვისების საკითხზე, საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს. თავმჯდომარე დაინტერესდა „A“ კორპუსის გამტარუნარიანობითა და იმ მიზეზით, თუ რატომ მოხდა სპორტის მოდულისთვის საჭირო გარემოს მოწყობა აღნიშნულ კორპუსში და არა „C“ კორპუსში, სადაც თავდაპირველად იყო დაგეგმილი. ავტორიზაციის ექსპერტმა, ნინო თამაზაშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულებამ „A“ კორპუსში არსებული საკონფერენციო დარბაზის სივრცე დროებით გამოიყენა სპორტის (მაგიდის ჩოგბურთის სიმულაციური გარემო) მოდულისთვის საჭირო „C“ გარემოს მოსაწყობად. ექსპერტის განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება განპირობებულია იმით, რომ „A“ კორპუსის დოკუმენტაცია სრულ წესრიგშია, ხოლო „C“ კორპუსთან დაკავშირებით ჯერ კიდევ მიმდინარეობს მუშაობა შენობის მდგრადობის დასკვნის მოსაპოვებლად და სხვა პრობლემური საკითხების მოსაგვარებლად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ როგორც კი „C“ კორპუსის ინფრასტრუქტურული საკითხები სამართლებრივად და ტექნიკურად მოწესრიგდება, საკონფერენციო დარბაზი გადატანილ იქნება „C“ კორპუსში, ხოლო „A“ კორპუსში არსებული სივრცე კვლავ დაუბრუნდება პირვანდელ ფუნქციას. სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებთან დაკავშირებით, ელენე კაკაბაძემ დააზუსტა, ხომ არ უშლის ხელს საკონფერენციო დარბაზის არარსებობა სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვას. ნინო თამაზაშვილმა დაადასტურა, რომ აღნიშნული ცვლილება სასწავლო პროცესზე უარყოფით გავლენას არ ახდენს და ყველა საგანმანათლებლო კომპონენტი შეუფერხებლად ხორციელდება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ მოდუსში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საბჭომ გადაწყვიტა, რომ დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ მოდუსში (ს/კ:216350829) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „Front-End დეველოპმენტი“ და „შედუღება“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 8 აპრილი.

მეორე საკითხი: სსიპ კოლეჯ მოდუსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, თაბუკა ციმინტია, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 06 თებერვლის №124262 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯ „მოდუსში“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“

31-ე მუხლით განსაზღვრული პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 17 თებერვალს მისამართზე: ქ. რუსთავი, შარტავას გამზირი №4 , წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ,,ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, დებულებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, პსდ-ს შენობა-ნაგებობების, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსის, სტუდენტური სერვისების და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა საუკეთესო პრაქტიკა:

იქიდან გამომდინარე, რომ ადრეული და სკოლამდელი განათლების სტანდარტი ეფუძნება Reggio Emilia-ს მეთოდოლოგიურ მიდგომებს, ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ ფარგლებში სრულად აისახება აღნიშნული მიდგომები და მეთოდები, სსიპ კოლეჯმა „მოდუსი“ შეძლო Reggio Children-თან კოლაბორაციის გზით ამ მიდგომების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ეს თანამშრომლობა კოლეჯს აძლევს დიდ შესაძლებლობას, დანერგოს საერთაშორისო გამოცდილება და თანამედროვე საგანმანთლებლო პრაქტიკა. Reggio Children-ის მიდგომების ინტეგრაციის მიზნით, კოლეჯის ადმინისტრაციის ოფიციალური ვიზიტი შედგა იტალიაში, ქალაქ რეჯიო ემილიაში მდებარე Reggio Children-ის სასწავლო ცენტრში. აღნიშნულ ვიზიტს მოყვა Reggio Children-ის ოფიციალური წარმომადგენლის ვიზიტი კოლეჯში “მოდუსი”, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა თანამშრომლობა.

სამომავლოდ დაგეგმილია რამდენიმე მნიშვნელოვანი ინიციატივა: Reggio Children-ის საერთაშორისო გამოფენის ორგანიზება საქართველოში, საგანმანათლებლო რესურსების იტალიურიდან ქართულ ენაზე თარგმნა და მოკლევადიანი პროფესიული კურსის (ატელიერსიტა) შემუშავება და განხორციელება. აღნიშნული თანამშრომლობის მდგრადობას განსაზღვრავს ოთხი ძირითადი პარტნიორის მონაწილეობას და მათ შორის გამფორმებელია მემორანდუმი – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, Reggio Children-ს, სსიპ კოლეჯ “მოდუსსა” და ა(ა)იპ საბავშვო ბაღების ასოციაციას შორის. მემორანდუმი მიზნად ისახავს Reggio Emilia-ს მიდგომების სისტემურ ინტეგრაციას პროფესიულ განათლებაში და ადრეული ასაკის ბავშვების განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული პროგრამა რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ პრიორიტეტულია და ყველა სტუდენტს მერიიდან გადაეცემა 200 ლარიანი ყოველთვიური სტიპენდია; აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გამოიკვეთა კიდევ ერთი საუკეთესო პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება ინტერაქციული სახელმძღვანელოს შექმნას სკოლამდელი ასაკისათვის, კერძოდ, სსიპ კოლეჯმა „მოდუსმა“ „მწვანე ჯილდოს“ კონკურსის ფარგლებში შეიმუშავა ინტერაქციული სახელმძღვანელო „ლეპბუქი“, რომელიც წარმოადგენს უნიკალურ საგანმანათლებლო რესურსს სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. სახელმძღვანელო შექმნილია პროგრამის მოდულის – „მათემატიკური წარმოდგენების განვითარება ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში“- ფარგლებში და მიზნად ისახავს ბავშვებში მათემატიკური და შემოქმედებითი უნარების განვითარებას თამაშით სწავლის გზით. „ლეპბუქი“ არის ინტერაქციული წიგნი, რომელიც აერთიანებს ვიზუალურ, მანიპულაციურ და შემეცნებით ელემენტებს. მისი გამოყენება ხელს უწყობს ცოდნის სისტემატიზაციას და ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა: სოციალურ-ემოციური, მეტყველების გააქტიურების, შემეცნებითი უნარების გაძლიერების, დამოუკიდებლობის განვითარებისა და შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების წახალისების. აღნიშნული

სასწავლო რესურსი გამოიყენება როგორც კოლეჯის სასწავლო აუდიტორიაში, ასევე საბავშვო ბაღებში.
ხარვეზი არ დაფიქსირებულა და ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციებიც არ გაცემულა. გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ, **2.4.2.2** ინდიკატორი დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, თუმცა სასურველია დაწესებულებამ ვერიფიკაციის დასკვნაში ასახოს რისკების სისტემა დოკუმენტის სრულყოფის მიზნით.
პროგრამა „აღმზრდელი“ (0112) მიზნად ისახავს სკოლამდელ აღზრდაში უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა დამტკიცებულია 2026 წლის 26 იანვრის N64302 ბრძანებით და მისი განხორციელების ადგილია ქალაქი რუსთავი, ჟ. შარტავას გამზირის N4-ში მდებარე სასწავლო კორპუსი. სწავლება დაფუძნებულია კოოპერაციულ მოდელზე, რაც გულისხმობს რეალურ სამუშაო გარემოში უნარების გამომუშავებას. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 116 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ენობრივი მოდულების გათვალისწინებით, 146 კრედიტს. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების დასაბუთება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 30 პირის ოდენობით განსაზღვრის შესახებ.
საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების სტანდარტთან (2.1) მიმართებით, ექსპერტთა აზრით, რომ გადაწყვეტილება პროგრამის დამატების შესახებ სრულ თანხვედრაშია კოლეჯის მისიასთან და რეგიონული განვითარების პრიორიტეტებთან. პროგრამის შემუშავებას საფუძვლად დაედო შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა საჭიროებების კვლევა, ასევე „საქართველოს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სტრატეგია“ (2023-2026), რომელიც ხაზს უსვამს სკოლამდელი აღზრდის კვალიფიციური კადრების დეფიციტს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. დაწესებულებაში მოქმედებს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მკაფიო მეთოდოლოგია, ხოლო პროგრამის სახელწოდება და შინაარსი სრულად შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს.
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი (2.2) სრულად არის დაკმაყოფილებული. პროგრამის განხორციელებისათვის კოლეჯს გააჩნია ადეკვატური ინფრასტრუქტურა, მათ შორის A და B ტიპის სასწავლო გარემოები (აუდიტორიები N201 და N301), რომლებიც აღჭურვილია მასწავლებლისა და სტუდენტებისთვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკითა და სადემონსტრაციო საშუალებებით. სასწავლო პროცესში ჩართულია 16 კვალიფიციური მასწავლებელი, რომელთაგან 10 პროფესიულ მოდულებს უძღვება, ხოლო 6 ზოგად და ენობრივ კომპონენტებს. პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ბიბლიოთეკაში, ისე ელექტრონული ფორმით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სასწავლო გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე, რაც მოიცავს სპეციალურ მოწყობილობებს კიბეებზე გადასაადგილებლად და უნივერსალური დიზაინის მქონე სველ წერტილებს. პროგრამის ფინანსურ მდგრადობას ადასტურებს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც პროგრამა რენტაბელურია მინიმუმ 13 სტუდენტის პირობებში.
პროგრამის შეფასებისა და განვითარების კომპონენტი (2.3) ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებსა და PDCA ციკლს. კოლეჯი სისტემურად ახორციელებს დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას და შრომის ბაზრის ანალიზს, რათა უზრუნველყოს სწავლების აქტუალობა. ექსპერტთა დასკვნით, დაწესებულებას აქვს პროგრამაში ცვლილებების შეტანის ან საჭიროების შემთხვევაში მისი გაუქმების გამართული პროცედურა, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა ინტერესების დაცვასა და სწავლის შედეგების მუდმივ გაუმჯობესებას.
სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების კომპონენტის (2.4) მხრივ, პროგრამა ხორციელდება მკაფიოდ სტრუქტურირებული სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს არაქართულენოვანი სტუდენტების საჭიროებებსაც. კოლეჯი

იყენებს სწავლების თანამედროვე მეთოდებს, როგორიცაა „ქეის-სტადი“, სიტუაციური ანალიზი და როლური თამაშები. პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება ააიპ რუსთავის ბაღების გაერთიანებასთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, რაც სტუდენტებს რეალურ სამუშაო გარემოში სწავლის შესაძლებლობას აძლევს. შეფასების სისტემა არის ვალიდური და ობიექტური, მოიცავს ვერიფიკაციის მექანიზმებსა და აპელაციის წესს. მტკიცებულებები ინახება 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები – უვადოდ. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, სასურველია ვერიფიკაციის დასკვნაში აისახოს რისკების სისტემის დოკუმენტირებაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ მოდუსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
სსიპ კოლეჯ მოდუსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ დამატების შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, რომ სსიპ კოლეჯ მოდუსს (ს/კ: 216350829) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ **(დანართი 1).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 8 აპრილი.

მესამე საკითხი: სსიპ კოლეჯ მოდუსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თაბუკა ციმინტიამ, საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 06 თებერვლის №124270 ბრძანების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა სსიპ კოლეჯ „მოდუსში“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრული პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 16 თებერვალს მისამართზე: ქ. რუსთავი, შარტავას გამზირი №4 , წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ,,ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებასთან დაკავშირებული თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, დებულებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, პსდ-ს შენობა-ნაგებობების, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსის, სტუდენტური სერვისების და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი.
აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა. ასევე, სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია და განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა. დაწესებულება იზიარებს დასკვნის პროექტში არსებულ გარემოებებს.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (კოდი 0612) წარმოადგენს მეოთხე დონის პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას. პროგრამა განხორციელების ადგილია ქალაქი რუსთავი, ჟ. შარტავას გამზირის N4-ში მდებარე სასწავლო კორპუსი, იმიტირებული სამუშაო გარემო. სწავლების მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში 117 კრედიტს შეადგენს, ხოლო არაინტეგრირებული მოდელით – 87 კრედიტს. არაქართულენოვანი პირებისთვის, ენობრივი კომპონენტების გათვალისწინებით, კრედიტების რაოდენობა შესაბამისად 147 და 117-ით განისაზღვრება. ექსპერტებმა სრულად გაიზიარა დაწესებულების მოთხოვნა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 30 პირით განსაზღვრის შესახებ, რაც დასაბუთებულია არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების ოპტიმალური გამოყენებით.
პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტი (2.1) სრულ შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასა და სტრატეგიული განვითარების 7 წლიან გეგმასთან, რომელიც პრიორიტეტულად მიიჩნევს IT ტექნოლოგიების მიმართულებას. გადაწყვეტილება პროგრამის დამატების შესახებ ეფუძნება შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა საჭიროებების სიღრმისეულ კვლევას,

რომელმაც აჩვენა კვალიფიციური კადრების დეფიციტი ისეთ პოზიციებზე, როგორიცაა ქსელის ინჟინერი, ტექნიკოსი და ადმინისტრატორი. პროგრამა ითვალისწინებს ინტეგრირებულ მიდგომასაც, რაც საშუალებას აძლევს სკოლის მოსწავლეებს, საბაზო განათლების საფუძველზე, ზოგად განათლებასთან ერთად დაეუფლონ პროფესიას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მკაფიოა და უზრუნველყოფს იმ პირთა ჩარიცხვას, რომელთა წინარე ცოდნა იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის გარანტიას. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს მის შინაარსს და სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტს.

პროგრამის განსახორციელებელი რესურსების მხრივ (2.2) კოლეჯი ფლობს ადეკვატურ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. სწავლება მიმდინარეობს A და B ტიპის სასწავლო გარემოებში (აუდიტორიები N202 და N301), რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და სადემონსტრაციო საშუალებებით. ასევე უზრუნველყოფილია სპორტისა და საბუნებისმეტყველო მოდულებისთვის საჭირო სპეციალიზებული გარემო. სასწავლო პროცესში ჩართულია 20 კვალიფიციური მასწავლებელი, მათ შორის დარგობრივი, ზოგადი და ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობასა და მასწავლებელთა ურთიერთჩანაცვლებადობას. პროგრამას ჰყავს კომპეტენტური ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა შემუშავებისა და ვალიდაციის პროცესში. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამა რენტაბელურია მინიმუმ 13 სტუდენტის პირობებში, რაც გარანტიას იძლევა, რომ საოპერაციო ხარჯები სრულად დაიფარება. ინფრასტრუქტურა და საგანმანათლებლო რესურსები, მათ შორის ბიბლიოთეკა და ელექტრონული ბაზები, სრულად ადაპტირებულია სსსმ და შშმ პირთა საჭიროებებზე.

პროგრამის შეფასება და განვითარება (2.3) ეფუძნება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემას, რომელიც ითვალისწინებს PDCA ციკლს. კოლეჯი სისტემურად ახორციელებს უკუკავშირს სტუდენტებისგან, მასწავლებლებისა და დამსაქმებლებისგან, რაც საფუძვლად ედება პროგრამის შემდგომ გაუმჯობესებას. ხარისხის მართვის სამსახური ატარებს პერიოდულ კვლევებს და ამზადებს რეკომენდაციებს, რაც ხელს უწყობს სწავლების პროცესის ოპტიმიზაციას. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, დაწესებულებას აქვს მკაფიოდ გაწერილი წესები პროგრამაში ცვლილებების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ, რაც იცავს სტუდენტთა ინტერესებს და უზრუნველყოფს მათ სწავლის დასრულებას მილევად რეჟიმში.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტთა შეფასება (2.4) ხორციელდება მოქნილად, სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. გამოყენებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები და როლური იმიტაციები, რაც IT სფეროსთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო და ობიექტური, მოიცავს ვერიფიკაციის მექანიზმებსა და აპელაციის წესს. მტკიცებულებები ინახება დადგენილი ვადით – შეფასების უწყისები მუდმივად, ხოლო სხვა დოკუმენტაცია 3 წლის განმავლობაში. ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომ სასურველია ვერიფიკაციის დასკვნაში უფრო დეტალურად აისახოს რისკების სისტემის დოკუმენტირება (2.4.2.2).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

ადამიანური რესურსის დატვირთვისა და კომპეტენციის შესახებ, საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის – „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ – განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით. იგი დაინტერესდა, რამდენად უზრუნველყოფს სამი ძირითადი დარგობრივი სპეციალისტი პროგრამის შეუფერხებელ მიმდინარეობას მათი სხვა სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით. ავტორიზაციის ექსპერტმა, თაბუკა ციმინტიამ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად შეისწავლა პერსონალის დატვირთვის საკითხი. ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადასტურდა, რომ აღნიშნული პირები დასაქმებულნი არიან მხოლოდ კოლეჯ „მოდუსში“ და სხვა საქმიანობით არ არიან დაკავებულნი. ექსპერტმა ხაზი გაუსვა პერსონალის მაღალ კვალიფიკაციას და აღნიშნა, რომ დარგობრივი მოდულები ოპტიმალურად არის

განაწილებული სპეციალისტებს შორის, რაც გამორიცხავს პროგრამის განხორციელების რისკებს.
პროგრამის ფინანსური მდგრადობისა და რენტაბელობის ზღვრის შესახებ, საბჭოს მდივანმა დასვა კითხვა ბიუჯეტის დაგეგმარების თაობაზე. კერძოდ, დაზუსტდა, რომ 30 სტუდენტის მიღების პირობებში (15 ინტეგრირებული და 15 არაინტეგრირებული), რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 13 სტუდენტით. ნათია ბუთხუზი დაინტერესდა, რა მექანიზმებს მიმართავს კოლეჯი იმ შემთხვევაში, თუ ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა აღნიშნულ ზღვარზე ნაკლები იქნება. თაბუკა ციმინტიამ აღნიშნა, რომ რეგიონში მოცემულ პროგრამაზე არსებული მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, 13 სტუდენტზე ნაკლების მიღების ალბათობა მინიმალურია.
აღნიშნულ საკითხზე დამატებით განმარტა ნანი დალაქიშვილმა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა. მან თქვა, რომ საქართველოს მთავრობის N244 დადგენილება იძლევა ჯგუფის გახსნის შესაძლებლობას 5 სტუდენტის არსებობის შემთხვევაშიც კი. პროფესიული განათლების შესახებ კანონის თანახმად, სტუდენტს აქვს უფლება მოითხოვოს პროგრამის დასრულება იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ჯგუფში ერთადერთი სტუდენტია. რენტაბელობის ზღვრის 13 სტუდენტით განსაზღვრა ემსახურება „მაქსიმალური კომფორტის“ შექმნას (პერსონალის ხელფასების, მასალებისა და კომუნალური ხარჯების სრულად დასაფარად), თუმცა კოლეჯი ვალდებულია ფლობდეს ფინანსურ რეზერვს არარენტაბელური ჯგუფის შენარჩუნებისთვის სტუდენტის უფლებების დასაცავად. ნანი დალაქიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ რენტაბელობის ცხრილის წარმოდგენის მოთხოვნა ემსახურება დაწესებულებების მიერ საკუთარი რესურსების უფრო ეფექტიან მობილიზებასა და წინასწარ გათვლას. ნანი დალაქიშვილმა დაამატა, რომ თავდაპირველად იგეგმებოდა ამ ცხრილის ამოღება, თუმცა თავად საგანმანათლებლო დაწესებულებების პოზიციით, იგი კარგ ორიენტირს წარმოადგენს შიდა დაგეგმარებისთვის.
საბჭოს წევრმა ეკატერინე გიგაშვილმა აღნიშნა, რომ რენტაბელობის ცხრილის აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. გოჩა გოგიტიძემ ყურადღება გაამახვილა დაფინანსების მოქმედ წესზე, რომელიც ითვალისწინებს სპეციალურ კოეფიციენტებს იმ შემთხვევებისთვის, როდესაც სტუდენტთა რაოდენობა ჯგუფში რენტაბელობის ზღვარზე დაბალია, რაც დაწესებულებას ფინანსურ შეღავათს აძლევს. კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ რენტაბელობის ზღვარი ინდივიდუალურია ყოველი პროგრამისთვის და დამოკიდებულია მასალების ხარჯსა და მოდულების დატვირთვაზე. მაგალითისთვის აღინიშნა, რომ „კომპიუტერული ქსელების“ პროგრამაზე ერთი სტუდენტის სწავლების ღირებულება უფრო დაბალია, ვიდრე „კულინარიის“ მიმართულებაზე, რაც გავლენას ახდენს ჯგუფის მინიმალურ შემადგენლობაზე. აღინიშნა, რომ გაანგარიშება ეყრდნობა ერთი ჯგუფის (15 სტუდენტი) ხარჯებს და კოლეჯი უზრუნველყოფს სწავლების ბოლომდე მიყვანას მაშინაც კი, თუ პროგრამაზე მინიმალური რაოდენობის სტუდენტი დარჩება.
შეფასების სისტემისა და ვერიფიკაციის მექანიზმების შესახებ, საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, კითხვით მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს განმავითარებელი რეკომენდაციის თაობაზე. რეკომენდაცია ეხებოდა ვერიფიკაციის დასკვნაში რისკების სისტემის ასახვას. თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენად გაზრდიდა აღნიშნული კომპონენტის დამატება შეფასების ობიექტურობას და რა ტიპის რისკების იდენტიფიცირებას მოელოდნენ ექსპერტები. ავტორიზაციის ექსპერტმა, თაბუკა ციმინტიამ, განმარტა, რომ დაწესებულებას რეალურად შემუშავებული ჰქონდა რისკების მართვის საკმაოდ მაღალი ხარისხის დოკუმენტი, რომელიც მოიცავდა როგორც ახალი პედაგოგების, ისე მრავალკომპონენტიანი შეფასების ინსტრუმენტების ანალიზს. თუმცა, აღნიშნული ანალიზი არ იყო ფიზიკურად ასახული ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნაში. ექსპერტის განცხადებით, გაცემული რეკომენდაცია მხოლოდ განმავითარებელ ხასიათს ატარებს და ემსახურება სისტემის სრულყოფას, რათა ხარისხის სამსახურს ჰქონდეს ერთიანი, კომპლექსური სურათი. თაბუკა ციმინტიამ დაადასტურა, რომ არსებული ვერიფიკაციის მოდელი ამ ეტაპზე სრულად იძლევა სწავლის

შედეგების ობიექტური შეფასების გარანტიას და რეკომენდაცია მხოლოდ სამომავლო სისტემურ გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ მოდუსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
სსიპ კოლეჯ მოდუსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამატების შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, რომ სსიპ კოლეჯ მოდუსს (ს/კ: 216350829) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ **(დანართი 2).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 8 აპრილი.

სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ხათუნა ცერცვაძემ.

მეოთხე საკითხი: სსიპ კოლეჯ მოდუსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მანანა მახარაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 6 თებერვლის ბრძანების №128782 საფუძველზე, მიმდინარე წლის 16 თებერვალს, სსიპ კოლეჯ მოდუსში განხორციელდა ვიზიტი, რომლის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მებაღეობა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება. ვიზიტი განახორციელდა, დაწესებულების რუსთავის მისამართზე (ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას გამზირი №4), ვიზიტამდე, ექსპერტების მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა დღის წესრიგი. დაიგეგმა და შედგა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებთან, პარტნიორ დაწესებულებებთან. ვიზიტის დროს შეფასდა ბრძანებითა და დღის წესრიგით დაგეგმილი ყველა კომპონენტი. დაწესებულების თვითშეფასების განაცხადით საგანმანათლებლო პროგრამის პსდ-ის ავტორიზაციის სტანდარტების 2.1. კომპონენტი შეფასებული იყო ნაწილობრივი შესაბამისობით. განაცხადს თან ერთვოდა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა (ბრძანება MES6260000038174, 20.01.2026, შესრულების ვადა: 2026 წლის ივნისი). ვიზიტის დროს, დაწესებულების მხრიდან, წარმოდგენილი იყო საგანმანათლებლო პროგრამისთვის საჭირო მატერიალური რესურსის/აღჭურვილობის შეძენის დამდასტურებელი დოკუმენტაცია. დარგობრივი ექსპერტის მიერ, შემოწმებული იქნა დაწესებულების მფლობელობაში არსებული პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი მატერიალური რესურსის შესაბამისობა საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. შეფასების შედეგად რესურსის შესაბამისობა დადასტურდა. გამომდინარე აქედან, ექსპერტთა მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტთან შესაბამისობა, შეფასდა სრული შესაბამისობით.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულებაში განხორციელებული პროექტი „ვირტუალური ბაღი“, ექსპერტების მიერ, იდენტიფიცრდა როგორც საუკეთესო გამოცდილება, მისი ეფექტურობის, ინოვაციურობისა და მებაღეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსთან სრული შესაბამისობიდან გამოდინარე. „ვირტუალური ბაღი“, წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდერნიზებულ მოდელსა და საგანმანათლებლო ჰაბს (აპლიკაციას), ასევე არის სტუდენტური ინოვაციური სტარტაპი და კოლეჯის სტრატეგია, გააერთიანოს აგრარული განათლება ციფრულ ტექნოლოგებთან (Agro-Tech). იგი აერთიანებს მებაღეობას, ბიზნესს/ეკონომიკას და თამაშის ელემენტებს. პროექტი ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგების დანერგვას, პროფესიულ სტუდენტებში ციფრული კომპეტენციებისა და მონაცემების მართვის უნარების განვითარებას, აპლიკაციის მომხმარებლების მოტივაციასა და ინტერაქციას, ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარიზაციას. აპლიკაციის მეშვეობით, მომხმარებელი ვირტუალურ სივრცეში ყიდულობს მცენარეს/მცენარეებს, შესაძლებლობა აქვს დააკვირდეს მათ ზრდას რეალურ დროში, მიიღოს

როგორც უფასო, ისე ფასიანი გაკვეთილები და კვალიფიციური რჩევები მცენარეთა სახეებისა და მოვლის შესახებ. აპლიკაციის თამაში პრინციპი კი აძლევს შესაძლებლობას დააგროვონ ქულები და მიიღონ ბონუსები. აპლიკაციის მომხმარებლის მიერ შეძენილი მცენარის მოვლა პარალელურად ხორციელდება რეალურ გარემოში – კოლეჯის ბაზაზე არსებულ სათბურში, სტუდენტების მიერ. მომხმარებელს აქვს ალტერნატიული შესაძლებლობები: გაზრდილი მცენარე მიიღო და თავად განაგრძოს მცენარის მოვლა თამაშის დროს შეძენილი ცოდნის საფუძველზე ან აპლიკაციის მეშვეობით მოახდინოს მისი რეალიზაცია სხვა მომხმარებელზე, ან გააგრძელოს ვირტუალური მოვლა და დააგროვოს ქულები და დამატებითი ბონუსები. აპლიკაცია სხვა ანალოგიური ტიპის თამაშებისგან გამოირჩევა და მისი უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ ვირტუალურთან ერთად, აერთიანებს, პროფესიონალების მიერ მცენარეთა რეალურ მოვლა-მონიტორინგს და ინვესტირებას. პროექტი განახორციელდა დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ პროფესიული სტუდენტების მიერ, ახალგაზრდობის სააგენტოს გრანტისა და პროფესიული უნარების სააგენტოს სამეწარმეო კონკურსის ფარგლებში. მოზიდული ფინანსური რესურსი, სრულად მოხმარდა საგანმანთლებლო პროგრამის ინფრასტრუქტურის განვითარებას: კოლეჯის ტერიტორიაზე მოეწყო სათბური, შეიქმნა ინოვაციური აპლიკაციის პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ სასწავლო პროცესში. „ვირტუალური ბაღი“ და სათბური წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და ფუნქციურად დატვირთულ ადგილს კოლეჯში, სადაც რეგულარულად ტარდება მასტერკლასები, ვორქშოპები. აპლიკაციის ინოვაციურობა ხელს უწყობს პროგრამის პოპულარიზაციას. განხორციელებული პროექტით, კოლეჯი ნათლად ახდენს დემონსტრირებას, რომ ორიენტირებულია სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერასა და განვითარებაზე, ხელს უწყობს მათი სამეწარმეო იდეების რეალიზებას, ეხმარება სხვადასხვა დაფინანსების წყაროების მოზიდვასა და მართვაში. ზემოთ დასახელებულ კრიტერიუმებთან ერთად, პროექტი არის ეფექტიანი, მოზიდული რესურსებით, კოლეჯის ბაზაზე შეიქმნა ეფექტური სასწავლო ინფრასტრუქტურა და რესურსი, რაც რჩება მის საკუთრებაში და ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ განხორციელებისა და სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებას.

აღინიშნა, რომ ხარვეზები არ გამოვლენილა და შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

(3) – პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

რეკომენდაცია: სასურველია, პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირების პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებისა და დარგში არსებული სიახლეების გაცნობით მიზნით, დაწესებულებამ პერიოდულად უზრუნველყოს მათი დარგობრივი მიმართულებით ტრენინგებსა და სხვა ტიპის ღონისძიებებში ჩართვა.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

(1) – პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

რეკომენდაცია: სასურველია შეფასების ინსტრუმენტების განახლება/გაუმჯობესება და ტესტური დავალებების გამრავალფეროვნება, კითხვების/დავალებების სირთულისა და სიმარტივის ბალანსის დაცვა, განმსაზღვრელი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გაზრდა. დაწესებულების მარეგულირებელ წესში კორექტირდეს გასაჩივრებასთან დაკავშირებული დებულებები, ისე რომ გამოირიცხოს ბუნდოვანი შინაარსის ფორმულირება.

(2) – პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

რეკომენდაცია: სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესის შესახებ ინფორმაციის სრულყოფილად დოკუმენტირება. დოკუმენტირებული

ინფორმაცია მოიცავდეს: ვალიდატორებისა და ვერიფიკატორებს ჯგუფებს, შიდა რეგულაციით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად რისკების რეესტრს, მოდულის ფარგლებში არსებული შეფასების ინსტრუმენტების დადგენილი მოცულობის მითითებით.
აღინიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში 2.4.1 (2) ინდიკატორის აღწერის ტექსტში დაფიქსირდა ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ მითითებული იყო სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება („თსუ პროფესიული განათლების ცენტრი“). აღნიშნული უზუსტობა კორექტირდა და ტექსტი ჩამოყალიბდა შესაბამისი რედაქციით.
პროფესიულ პროგრამასთან დაკავშირებით ითქვა, რომ პროგრამა „მებაღეობა“ (კოდი 0812) წარმოადგენს მეოთხე დონის საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც სტუდენტებს ანიჭებს საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციას მებაღეობაში. აღინიშნა, რომ სახელწოდება შესაბამისია პროგრამის შინაარსის და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამა ხორციელდება ქალაქ რუსთავში, შარტავას ქუჩის №4-ში მდებარე სასწავლო კორპუსში. სწავლება დაფუძნებულია კოოპერაციულ მოდელზე, რაც გულისხმობს თეორიული ცოდნის კოლეჯში მიღებასა და პრაქტიკული კომპეტენციების გამომუშავებას რეალურ სამუშაო გარემოში – პარტნიორ ორგანიზაციებში. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის განსაზღვრულია 85 კრედიტით (დაახლოებით 16 თვე), ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ენობრივი მოდულების გათვალისწინებით, იგი 115 კრედიტს შეადგენს (დაახლოებით 21 თვე). ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა დაწესებულების მოთხოვნა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 30 პირის ოდენობით განსაზღვრის შესახებ.
პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესი სრულად შეესაბამება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას. გადაწყვეტილება პროგრამის განახლებული სტანდარტით განხორციელების შესახებ მიღებულია ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური სპეციფიკისა და შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება, რაც თანხვედრაშია სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტთან. აღსანიშნავია, რომ პროგრამის შემუშავების ეტაპზე აქტიურად იყვნენ ჩართულნი როგორც დარგის სპეციალისტები, ისე პოტენციური დამსაქმებლები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისობას რეალურ სამუშაო მოთხოვნებთან.
მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საგანმანათლებლო რესურსები პასუხობს ავტორიზაციის სტანდარტებს. თეორიული სწავლებისთვის გამოყოფილია „A“ გარემო, ხოლო პრაქტიკული კომპონენტებისთვის – „C“ გარემო (84.66 კვ.მ ფართობის აუდიტორია). დაწესებულების ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მცირე სათბური, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს ადგილზე დაეუფლონ საბაზისო უნარებს. პრაქტიკული მოდულების სრულფასოვნად განხორციელების მიზნით, გაფორმებულია მემორანდუმები ა(ა)იპ „რუსთავ-სერვის ცენტრთან“, კ/ს „ნუგზარ ძნელაშვილი & კომპანიასთან“ და სს „საქართველოს სათბურის კორპორაციასთან“. აღნიშნული პარტნიორები ფლობენ მდიდარ მცენარეულ ფონდს (35 სახეობის 4000-ზე მეტი მცენარე), რაც მნიშვნელოვანია მცენარეთა გამრავლებისა და მოვლის ტექნოლოგიების ასათვისებლად. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული რესურსები, თუმცა ექსპერტთა მიერ გაიცა **რეკომენდაცია,** რომ გადაიხედოს პროგრამის მიზნებისთვის პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ გამოყენებული სასწავლო რესურსი, სახელმძღვანელოების ძველი რედაქციები ჩანაცვლდეს და სასწავლო პროცესში გამოყენებული იქნეს ახალი გამოცემები.
პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 10 კვალიფიციური მასწავლებელი, რომელთაგან 5 უშუალოდ პროფესიულ მოდულებს უძღვება. პერსონალის უმრავლესობა დარგის მოქმედი პრაქტიკოსია, რაც ზრდის სწავლების ხარისხს. პროგრამას ხელმძღვანელობს 10-წლიანი გამოცდილების მქონე მებაღე, რომელიც ამავდროულად პარტნიორი ორგანიზაციის წამყვანი სპეციალისტია. აღინიშნა, რომ პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დარგის ექსპერტის მიერ, ასევე გაცემული იქნა **რეკომენდაცია,**

რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირების, პროფესიული კომპეტენციების გაძლიერებისა და დარგში არსებული სიახლეების, გაცნობით მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პერიოდულად მათი დარგობრივი მიმართულებით ტრენინგებსა და სხვა ტიპის ღონისძიებებში ჩართვა.

ინკლუზიური განათლების კუთხით, კოლეჯს აქვს სსსმ პირთა მხარდაჭერის გამოცდილება, რაც დასტურდება მოდიფიცირებული მოდულებისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების არსებობით. ფინანსური მოდელი ეფუძნება ვაუჩერულ დაფინანსებას, ხოლო რენტაბელობის ზღვარი 10 სტუდენტია, რაც 30-იანი კვოტის პირობებში პროგრამის ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას განაპირობებს.

სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის ინოვაციური პლატფორმა „ვირტუალური ბაღი“, რომელიც აგრარული განათლებისა და ციფრული ინსტრუმენტების სინთეზს წარმოადგენს. შეფასების სისტემა ვალიდური და გამჭვირვალეა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია, რომელის მიხედვითაც, სასურველია დაწესებულებამ უზრუნველყოს ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესის სრულყოფილი დოკუმენტირება: ვალიდატორებისა და ვერიფიკატორებს ჯგუფების წინასწარ განსაზღვრა-დოკუმენტირება; შიდა რეგულაციის განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად რისკების რეესტრის შედგენა და მოდულის ფარგლებში არსებული შეფასების ინსტრუმენტების დადგენილი მოცულობის მითითება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ მოდუსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
სსიპ კოლეჯ მოდუსისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მებაღეობა“ დამატების შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, რომ სსიპ კოლეჯ მოდუსს (ს/კ: 216350829) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მებაღეობა“ **(დანართი 3).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 8 აპრილი.

მეხუთე საკითხი: შპს ცხუმ-ეგრისისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა მონიავა, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 14 თებერვლის N163957 (ცვლილება ბრძანებაში N261777 04/03/2026) ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა ვიზიტი შპს ცხუმ-ეგრისში (მისამართი: ზუგდიდი, მ.კოსტავას ქ. N 32) 2026 წლის 10 მარტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მასაჟის თერაპია" განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტთან შესაბამისობის დასადგენად. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა, წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და საჯაროდ, ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრები, რომლის შედეგადაც შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი და განისაზღვრა შეფასების პროცესში დასაზუსტებელი ძირითადი საკითხები. აღნიშნული დღის წესრიგი წინასწარ გაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტი წარიმართა მასთან სრული შესაბამისობით. ვიზიტი განხორციელდა კონსტრუქციულ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუები ჩაატარა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის, ადამიანური რესურსებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა, მათ შორის სასწავლო სივრცეები, ბიბლიოთეკა და სხვა შესაბამისი მატერიალური რესურსები.
ხარვეზი არ გამოვლენილა და სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.
განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
დაწესებულებას მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია: „**2.2.1.3** პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის

შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია“ ინდიკატორთან მიმართებით:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია. თუმცა სასურველია პსდ-მ იზრუნოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე და კვალიფიკაციის ამაღლებაზე პერმანენტულად, რათა დაცული იყოს სწავლებისა და შეფასების ერთიანი სტანდარტი და უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ხარისხიანი განხორციელება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ (სფეროს კოდი 0915) არის მეხუთე დონის და მისი მისანიჭებელი კვალიფიკაციაა უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში. პროგრამის განხორციელების ადგილია ქალაქი ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. N32, ხოლო სწავლება ფორმაა იმიტირებული სამუშაო გარემო. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 97 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი პირებისთვის, ენობრივი კომპონენტის გათვალისწინებით, განსაზღვრულია 127 კრედიტი. ექსპერტთა ჯგუფი სრულად ეთანხმება დაწესებულების მოთხოვნას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის 32 პირის ოდენობით განსაზღვრის შესახებ.

პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების კომპონენტი სრულ შესაბამისობაშია დაწესებულებაში დანერგილ მეთოდოლოგიასთან, მის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. პროგრამის ინიცირება ეფუძნება კოლეჯის გრძელვადიან ხედვას და პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც დადასტურებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის ბრძანებით, რომლის მიხედვითაც ჯანდაცვის მიმართულების პროგრამები პრიორიტეტულად არის მიჩნეული. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. აღსანიშნავია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის არსებული ჩარიცხვის მექანიზმი, რომელიც პროფესიის მოსინჯვის პრინციპს ეფუძნება და ხაზს უსვამს სასწავლო პროცესის ინკლუზიურობასა და ხელმისაწვდომობას.

პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა ხორციელდება სპეციალური მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასა და ადამიანურ რესურსს. პროგრამის განხორციელებისათვის გამოყოფილია შესაბამისი სასწავლო გარემოები (A/C და C ტიპის), სადაც სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა შეადგენს 16-ს, რაც ორეტაპიანი მიღების პირობებში სრულად ფარავს მოთხოვნილ 32 ადგილს. ექსპერტთა მიერ დოკუმენტაციის შემოწმებით დადგენილია, რომ პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები რელევანტური, ადეკვატური და პრაქტიკულად გამოყენებადია სწავლის შედეგების მისაღწევად. ასევე, პროგრამაში ინტეგრირებული არჩევითი მოდული „ესთეტიკური მასაჟი“ ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და ორიენტირებულია კურსდამთავრებულთა დასაქმების პოტენციალის ზრდაზე რეალურ სამუშაო გარემოში.

პროგრამის სახელწოდება იდენტურია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული დასახელების და მისი შინაარსობრივი მხარე სრულ თანხვედრაშია დადგენილ სწავლის შედეგებთან. პროგრამა დამტკიცებულია შპს „ცხუმ-ეგრისის“ დირექტორის 2025 წლის 31 დეკემბრის N 01-29 ბრძანებით და მოიცავს 3 ზოგად მოდულს (9 კრედიტი) და 13 პროფესიულ მოდულს (83 კრედიტი). ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურები, მისი სტრუქტურა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საფუძვლები სრულად პასუხობს პროფესიული განათლების სახელმწიფო სტანდარტსა და მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნული გარემოებები დადასტურებულია შესაბამისი მტკიცებულებებით, მათ შორის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, პროგრამის ზღვრული რაოდენობის დასაბუთებითა და პასუხისმგებელ პირებთან ჩატარებული ინტერვიუებით.

პროგრამისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებისას დადგინდა, რომ დაწესებულების მფლობელობაშია სათანადოდ მოწყობილი სასწავლო გარემოები, კერძოდ N22 აუდიტორია (A/C გარემო) და N20 აუდიტორია (C გარემო). აღნიშნული ბაზა, სტუდენტთა ორეტაპიანი მიღების (16-16 პირი) გათვალისწინებით, სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობაზე. რაც შეეხება პროგრამის განხორციელების ადამიანურ რესურსსა და მდგრადობას, ეს დასტურდება 13 პროფესიული განათლების მასწავლებლის ჩართულობით, სადაც თითოეულ მოდულზე განსაზღვრულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი. პერსონალის დატვირთვის დოკუმენტაციის ანალიზით ირკვევა, რომ არცერთი მასწავლებლის კვირეული სამუშაო დრო არ აღემატება 40 საათს, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სტაბილურობას. მასწავლებელთა კვალიფიკაცია შესაბამისობაშია დაწესებულების მიერ დადგენილ მოთხოვნებთან, რაც დადასტურდა პირადი საქმეების შესწავლითა და ინტერვიუების შედეგად. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია დარგობრივი კომპეტენცია.

საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია კოლეჯის მატერიალური ბიბლიოთეკის მეშვეობით, სადაც განთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული დარგობრივი და ზოგადი მოდულების სახელმძღვანელოები. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარითა და სამკითხველო სივრცით, ხოლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის დაცვით. ინკლუზიური განათლების მიმართულებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მომზადების წესი და შესაბამისი რეკომენდაციები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის. სასწავლო გარემო სრულად ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის, რაც იძლევა რესურსების მოდიფიცირებისა და აკომოდირების შესაძლებლობას. ფინანსური მდგრადობა დადასტურებულია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტით, რომლის მიხედვითაც რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 22 სტუდენტით, ხოლო არსებული ფინანსური მოდელი სრულად ფარავს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

შეფასების პროცესი ითვალისწინებს როგორც შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზს, ისე დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს. კოლეჯს შემუშავებული აქვს კვლევის მკაფიო მეთოდოლოგია, რომლის შედეგების ანალიზიც საფუძვლად ედება პროგრამის მოკლევადიან და გრძელვადიან განვითარებას. ხარისხის მართვის სამსახური აქტიურად იყენებს შეფასების შედეგებს სწავლების მეთოდების, საგანმანათლებლო რესურსებისა და მოდულების რიგითობის დასახვეწად, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მუდმივ განახლებასა და შესაბამისობას თანამედროვე სტანდარტებთან. სასწავლო პროცესის ორგანიზება ხორციელდება დაწესებულების მარეგულირებელი წესის შესაბამისად. სწავლება მოიცავს თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და დარგობრივი ტექნოლოგიების გამოყენებას, რისთვისაც სასწავლო გარემო აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. პროგრამა სრულად ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე, შესაბამისად საჭირო აღარაა გარე პრაქტიკის ობიექტებთან დამატებითი ხელშეკრულებების გაფორმება, ხოლო უსაფრთხო სასწავლო გარემო გარანტირებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ ჩატარებული რისკების პერიოდული შეფასებით.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო და ობიექტური, რაც დადასტურებულია შესაბამისი ინსტრუმენტებით, ჩექლისტებითა და კითხვარებით. შეფასება მოიცავს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ კომპონენტებს, ხოლო შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა განმეორებითი შეფასებისა და აპელაციის მექანიზმით სარგებლობის უფლება. დაწესებულებაში მოქმედებს შიდა ვერიფიკაციის მრავალდონიანი სისტემა, რომელიც ფარავს შეფასების ინსტრუმენტების, თავად პროცესისა და მტკიცებულებების გადამოწმებას რისკების ანალიზზე დაფუძნებული ვერიფიკაციის გეგმის მიხედვით. საქმისწარმოების წესის თანახმად, შეფასებასთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება ინახება პროფესიულ პორტფოლიოებში სამი წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისების შენახვა ხდება უვადოდ, სპეციალურად გამოყოფილ დაცულ სივრცეში. მიღებული შეფასების შედეგები აქტიურად გამოიყენება

სტუდენტებისათვის ინდივიდუალური უკუკავშირისა და შემდგომი განვითარების რეკომენდაციების მისაწოდებლად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
პროგრამის რესურსული უზრუნველყოფისა და პრაქტიკის ობიექტების შესახებ, დარგის ექსპერტმა, ნინო ხარხელაურმა, დადებითად შეაფასა კოლეჯში არსებული ინფრასტრუქტურა და ადმინისტრაციის მზაობა პროგრამების მხარდასაჭერად. მან ხაზი გაუსვა პრაქტიკის ობიექტების (სერვის ცენტრებისა და სანერგეების) მაღალ ხარისხს, სადაც უკვე დასაქმებულნი არიან კოლეჯის კურსდამთავრებულები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რუსთავის მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს ქალაქის გამწვანებას და მებაღეობის პროგრამის სტუდენტებისთვის სასტიპენდიო პროგრამებსაც კი აწესებს, რაც დარგზე მოთხოვნას ზრდის. ავტორიზაციის ექსპერტმა, მანანა მახარაშვილმა, დაამატა, რომ დაწესებულების მიერ შეთავაზებული „ვირტუალური ბაღის“ იდეა პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელების კარგი დემონსტრირებაა.
პერსონალის დარგობრივი გადამზადების აუცილებლობაზე, ნინო ხარხელაურმა წარმოადგინა განმავითარებელი რეკომენდაცია მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ. მისი განმარტებით, მიუხედავად პერსონალის მაღალი მოტივაციისა, აუცილებელია მათი პერიოდული გადამზადება უშუალოდ დარგობრივი მიმართულებით (მაგალითად, კომერციულად პოპულარული მცენარეების მოვლა და თანამედროვე ტექნოლოგიები), რაც ავტომატურად გააუმჯობესებს სასწავლო რესურსებსა და შეფასების ინსტრუმენტებს.
საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ, დააზუსტა რეკომენდაციის შინაარსი და დაინტერესდა, რამდენად რეალურია კოლეჯისთვის დარგობრივი სიახლეების მიწოდების დავალდებულება. თავმჯდომარის პოზიციით, ზოგად მეთოდოლოგიურ ტრენინგებზე პასუხისმგებელია დაწესებულება, თუმცა დარგობრივი ცოდნის გაღრმავება და სიახლეების მოძიება მეტწილად თავად მასწავლებლის ინდივიდუალური განვითარების ნაწილი უნდა იყოს.
სისტემურ გამოწვევებთან დაკავშირებით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა, აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ქვეყანაში პროფესიული განათლების მასწავლებელთა დარგობრივი გადამზადების ერთიანი და გამართული სისტემა არ არსებობს. მან განმარტა, რომ „პროფესიული უნარების სააგენტო“ მუშაობდა ამ მიმართულებით და ასევე, მუშაობენ დარგობრივი გაერთიანებები (მაგ. „აგრო დუო“), თუმცა მასშტაბური და სისტემური გადამზადება ჯერ კიდევ პრობლემურია ფინანსური და ორგანიზაციული თვალსაზრისით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ცხუმ-ეგრისისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
შპს ცხუმ-ეგრისისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მასაჟის თერაპია" დამატების შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა,

რომ შპს ცხუმ-ეგრისს (ს/კ: 220377759) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "მასაჟის თერაპია" **(დანართი 4).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 8 აპრილი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 14:05 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.რუსთავი. ჟ.შარტავას გამზირი N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.რუსთავი. ჟ.შარტავას გამზირი N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	მებაღეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.რუსთავი. ჟ.შარტავას გამზირი N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. N 32
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	32
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127